Tax • Audit • Consulting

# შპს კასკო 2015

## ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის*
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

**სარჩევი**


| | |
|---|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება | 7 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 8 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 9 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება | 10 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 11 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კასკო 2015“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კასკო 2015“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და

- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
28 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

## სრული შემოსავლის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნა | 2021<br>ლარი | 2020<br>ლარი |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 82,053,010 | 55,638,250 |
| ამონაგების თვითღირებულება | 6 | (68,975,700) | (48,539,495) |
| **საერთო მოგება/(ზარალი)** | | **13,077,310** | **7,098,755** |
| | | | |
| კომერციული ხარჯები | | (113,261) | (103,177) |
| პერსონალის შენახვის ხარჯები | | (2,057,133) | (1,782,272) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 10 | (221,649) | (175,954) |
| სხვა საერთო ხარჯები | 7 | (1,862,911) | (1,596,114) |
| **საოპერაციო მოგება/(ზარალი)** | | **8,822,356** | **3,441,238** |
| | | | |
| ფინანსური შემოსავალი | 8 | 48,550 | 255,474 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | 9 | (211,861) | (2,030,037) |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე** | | **8,659,045** | **1,666,675** |
| | | | |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (275,303) | (23,816) |
| | | | |
| **წლის მოგება/(ზარალი)** | | **8,383,742** | **1,642,859** |
| | | | |
| **წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)** | | - | - |
| | | | |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)** | | **8,383,742** | **1,642,859** |

*დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი* _____

## სრული შემოსავლის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | **შენიშვნა** | **2021** | **2020** |
|---|---|---|---|
| | | ლარი | ლარი |
| ამონაგები | 5 | 82,053,010 | 55,638,250 |
| ამონაგების თვითღირებულება | 6 | (68,975,700) | (48,539,495) |
| **საერთო მოგება/(ზარალი)** | | **13,077,310** | **7,098,755** |
| | | | |
| კომერციული ხარჯები | | (113,261) | (103,177) |
| პერსონალის შენახვის ხარჯები | | (2,057,133) | (1,782,272) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 10 | (221,649) | (175,954) |
| სხვა საერთო ხარჯები | 7 | (1,862,911) | (1,596,114) |
| **საოპერაციო მოგება/(ზარალი)** | | **8,822,356** | **3,441,238** |
| | | | |
| ფინანსური შემოსავალი | 8 | 48,550 | 255,474 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | 9 | (211,861) | (2,030,037) |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე** | | **8,659,045** | **1,666,675** |
| | | | |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (275,303) | (23,816) |
| | | | |
| **წლის მოგება/(ზარალი)** | | **8,383,742** | **1,642,859** |
| | | | |
| **წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)** | | - | - |
| | | | |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)** | | **8,383,742** | **1,642,859** |

*დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი* _____

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | **შენიშვნა** | **2021** | **2020** |
|---|---|---|---|
| | | ლარი | ლარი |
| **აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 2,540,969 | 1,042,340 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 11 | 128,651 | - |
| არამატერიალური აქტივები | | 17,365 | 20,293 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 12 | 2,163,963 | 6,636,925 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **4,850,948** | **7,699,558** |
| | | | |
| მარაგები | 13 | 14,335,531 | 9,620,611 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 14 | 10,119,578 | 6,005,118 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 15 | 1,359,465 | 2,489,512 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **25,814,574** | **18,115,241** |
| | | | |
| **სულ აქტივები** | | **30,665,522** | **25,814,799** |
| | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 6,014,658 | 4,136,028 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 17,485,255 | 10,627,828 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **23,499,913** | **14,763,856** |
| | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 16 | 6,705,366 | 10,786,314 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 460,243 | 264,629 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **7,165,609** | **11,050,943** |
| | | | |
| **სულ ვალდებულებები** | | **7,165,609** | **11,050,943** |
| | | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **30,665,522** | **25,814,799** |

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | **საწესდებო კაპიტალი** | **გაუნაწილებელი მოგება** | **სულ საკუთარი კაპიტალი** |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| **ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **4,585,265** | **8,984,969** | **13,570,234** |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | - | 1,642,859 | **1,642,859** |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | (449,237) | - | **(449,237)** |
| დივიდენდები | - | - | **-** |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **4,136,028** | **10,627,828** | **14,763,856** |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | - | 8,383,742 | **8,383,742** |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | 1,878,630 | - | **1,878,630** |
| დივიდენდები | - | (1,526,316) | **(1,526,316)** |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **6,014,658** | **17,485,255** | **23,499,913** |

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | 2021<br>ლარი | 2020<br>ლარი |
|---|---|---|
| კლიენტებისგან მიღებული ფული | 92,130,512 | 67,748,430 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული | (78,935,434) | (56,823,708) |
| დასაქმებულებზე გადახდილი ფული | (1,654,683) | (1,481,974) |
| გადახდილი გადასახადები | (14,031,748) | (9,571,213) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები** | **(2,491,353)** | **(128,465)** |
| | | |
| ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა | (1,673,543) | (365,862) |
| ცვლილებები გაცემულ სესხებში | - | 1,305,000 |
| მიღებული პროცენტები | 48,549 | 370,930 |
| ცვლილებები სხვა საწარმოს მონაწილეობაში | 2,956,500 | (100,000) |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები** | **1,331,506** | **1,210,068** |
| | | |
| ცვლილებები საკუთარ კაპიტალში | 1,878,630 | (449,237) |
| გადახდილი დივიდენდები | (1,526,316) | - |
| **ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები** | **352,314** | **(449,237)** |
| | | |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება** | **(807,533.00)** | **632,366.00** |
| | | |
| სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი | (322,514) | 289,138 |
| | | |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში** | **2,489,512** | **1,568,008** |
| | | |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **1,359,465** | **2,489,512** |

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კასკო 2015" (შემდგომში „კომპანია") (ს.კ.: 400141627) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 23/03/2015. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გაგრის ქ., N2.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გაყინული ხორცპროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაცია.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 70% - ლევან კაჭარავა (16001001270);
- 30% - ლევან ჭიორელი (01007005859).

### 2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. მსოფლიო მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის წინაშე დადგა ადამიანების საქმიანობის ყველა ასპექტზე, მათ შორის ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის გამო. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად. მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია არ მოელის, რომ კორონავირუსს არსებით უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის უნარზე, განაგრძოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

**3.1. მომზადების საფუძველი**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის" (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**ა) ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში**

კომპანია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი ან გადასახდელი თანხის ოდენობას. კომპანია მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდს თავის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს ამ დივიდენდის გამოცხადებისას.

მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურების ტესტირება ხდება 3.2 (ი) შენიშვნაში აღწერილი პოლიტიკის მიხედვით. 2021 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ არ არსებობს კომპანიასთან დაკავშირებული ვითარებები, რომლებიც პოტენციურ გაუფასურებაზე მიანიშნებს და გაუფასურების შემოწმება არ ჩატარებულა.

**ბ) უცხოური ვალუტა**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიმსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი / ლარი | 3.0976 | 3.2766 |
| 1 ევრო / ლარი | 3.5040 | 4.0233 |

**გ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

**დ) ამონაგები და სხვა შემოსავალი**

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

*შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან*

შემოსავალი საქონლოს რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

*სხვა შემოსავალი*

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები") მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

**ე) გადასახადები**

*მიმდინარე მოგების გადასახადი*

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებად განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*<u>დამატებული ღირებულების გადასახადი</u>*

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

*<u>საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა</u>*

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

**ვ) ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც

პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

| | **სასარგებლო გამოყენების ვადა** |
|---|---|
| შენობა ნაგებობები | 50 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 7 წელი |
| მანქანა-დანადგარები | 7 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ზ) იჯარა**

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

**თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების" მეთოდის გამოყენებით.

**ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

**კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

**ლ) ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

*<u>დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება</u>*

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

*<u>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება</u>*

კომპანია განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ იყენებს კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

*<u>ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა</u>*

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

**5. ამონაგები**

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| შემოსავალი რეალიზციიდან | 70,412,612 | 50,746,151 |
| გაყიდული საქონელი (რეექსპორტი) | 11,900,222 | 5,072,438 |
| გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა | (259,824) | (180,339) |
| | **82,053,010** | **55,638,250** |

**6. ამონაგების თვითღირებულება**

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| გაყიდული/შეძენილი საქონელი | 57,598,711 | 43,556,124 |
| გაყიდული/შეძენილი საქონელი (რეექსპორტი) | 11,284,904 | 4,788,722 |
| შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა | (39,701) | - |
| წარმოების ფართის იჯარა | 39,603 | 36,130 |
| ხელფასი წარმოება | 78,530 | 83,630 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,957 | 57,987 |
| საბაჟოზე აღებული ნიმუშები | 1,639 | 1,135 |
| ლაბორატორიული მომსახურება | 1,995 | 7,712 |
| დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა | 8,062 | 8,055 |
| | **68,975,700** | **48,539,495** |

**7. სხვა საერთო ხარჯები**

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| საწვავის ხარჯი | 363,874 | 277,870 |
| საქონლის შენახვა (განბაჟებული) | 728,993 | 651,883 |
| საქონლის დაცლა დატვირთვა (განბაჟებული) | 72,476 | 46,580 |
| მანქანების რემონტის ხარჯები | 191,840 | 162,274 |
| ბანკის საკომისიო | 28,799 | 18,185 |
| საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება | 55,637 | 42,056 |
| საკანცელარიო ნივთები | 9,182 | 7,943 |
| ინსპექტირება (ქარხნების გახსნა) | 9,952 | 7,359 |
| საიჯარო ქირა | 66,212 | 62,346 |
| კომუნალური სერვისი | 3,094 | 1,017 |
| მანქანების იჯარა | 48,438 | 45,206 |
| სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები | 9,037 | 72,813 |
| ელ.ენერგია | 167,058 | 91,228 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 6,781 | 3,644 |
| დაზღვევა | 12,047 | 14,279 |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | 10,533 | 9,081 |
| სხვა ხარჯი | 78,958 | 82,350 |
| | **1,862,911** | **1,596,114** |

**8. ფინანსური შემოსავალი**

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | - | 132,421 |
| საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 48,550 | 123,053 |
| | **48,550** | **255,474** |

**9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)**

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| გამოვლენილი მარაგების დანაკლისი | (26,981) | (22,209) |
| ძირ. საშუალებების რეალიზაციით მიღებული შედეგი | 67,225 | 2,296 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | - | (100,000) |
| საქველმოქმედო ხარჯი | - | (150,000) |
| სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი | 418,694 | (1,717,188) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | (670,799) | (42,936) |
| | **(211,861)** | **(2,030,037)** |

## 10. ძირითადი საშუალებები

| | მიწა და შენობა ნაგებობები | მანქანა დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | |
| *თვითღირებულება:* | | | | | | |
| **2020 წლის 1 იანვარს** | **73,498** | **357,847** | **68,704** | **6,777** | **862,266** | **1,369,092** |
| დამატებები | 248,314 | 4,148 | 4,652 | 3,608 | 118,908 | 379,630 |
| გასვლები | - | - | - | - | (28,703) | (28,703) |
| **2020 წლის 31 დეკემბერს** | **321,812** | **361,995** | **73,356** | **10,385** | **952,471** | **1,720,019** |
| დამატებები | 1,732,079 | 14,508 | 6,865 | 1,601 | 174,492 | 1,929,545 |
| გასვლები | - | - | - | - | (324,520) | (324,520) |
| **2021 წლის 31 დეკემბერს** | **2,053,891** | **376,503** | **80,221** | **11,986** | **802,443** | **3,325,044** |
| *დაგროვილი ცვეთა:* | | | | | | |
| **2020 წლის 1 იანვარს** | **-** | **67,645** | **53,057** | **4,707** | **338,488** | **463,897** |
| ცვეთის ხარჯი | 4,552 | 65,849 | 6,326 | 1,031 | 153,253 | 231,011 |
| გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | (17,231) | (17,231) |
| **2020 წლის 31 დეკემბერს** | **4,552** | **133,494** | **59,383** | **5,738** | **474,510** | **677,677** |
| ცვეთის ხარჯი | 5,832 | 67,803 | 6,194 | 1,870 | 138,977 | 220,676 |
| გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | (114,283) | (114,283) |
| **2021 წლის 31 დეკემბერს** | **10,384** | **201,297** | **65,577** | **7,608** | **499,204** | **784,070** |
| *საბალანსო ღირებულება:* | | | | | | |
| **2020 წლის 1 იანვარს** | **73,498** | **290,202** | **15,647** | **2,070** | **523,778** | **905,195** |
| **2020 წლის 31 დეკემბერს** | **317,260** | **228,501** | **13,973** | **4,647** | **477,961** | **1,042,340** |
| **2021 წლის 31 დეკემბერს** | **2,043,507** | **175,206** | **14,644** | **4,378** | **303,239** | **2,540,969** |

## 11. დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელ მშენებლობას წარმოადგენს ასაშენებლად განსაზღვრული ძირითადი საშუალებების (შენობა-ნაგებობები) საპროექტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები.

## 12. გრძელვადიანი ინვესტიციები

2017 წლის ოქტომბრიდან კომპანია ფლობდა შპს "გამას" (ს/ნ 204425906) 70%-იან წილს. 2021 წლის ოქტომბერში კომპანიამ გაყიდა ფლობილი წილის ნახვარი, შესაბამისად მის მფლობელობაში დარჩა შპს „გამას" მთლიანი წილის მხოლოდ 35%. ამ პერიოდიდან კომპანია შპს „გამას" განიხილავს, როგორც მეკავშირე საწარმოს. ინვესტიციები ასახულია თვითღირებულებით.

## 13. მარაგები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| საქონელი | 5,998,954 | 4,817,706 |
| განუბაჟებელი საქონელი | 1,365,642 | 2,964,599 |
| საქონელი გზაში | 6,753,920 | 1,555,146 |
| ნედლეული და მასალები | 29,250 | 11,802 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 170,203 | 255,563 |
| სხვა მარაგები | 17,562 | 15,795 |
| | **14,335,531** | **9,620,611** |

## 14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 8,754,980 | 5,896,135 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (უცხოეთი) | 373,162 | 504,579 |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს წილის რეალიზაციიდან | 853,559 | 1,059 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 917,394 | 371,573 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | 1,309 | 2,177 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | (496) | 120 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 1,532 | 2,300 |
| საეჭვო მოთხოვნების კორექტირება | (781,862) | (772,825) |
| | **10,119,578** | **6,005,118** |

**15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| ნაღდი ფული სალაროში | 8,759 | 12,618 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 1,350,706 | 2,476,894 |
| | **1,359,465** | **2,489,512** |

**16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 6,287,344 | 10,773,274 |
| მიღებული ავანსები | 403,350 | 4,552 |
| გადასახდელი ხელფასები | 14,672 | 8,488 |
| | **6,705,366** | **10,786,314** |

**17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან**

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

| | **მესაკუთრეები** | **მთავარი ხელმძღვანელობა** | **სხვა დაკავშირებული მხარეები** |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| **2021** | | | |
| შესყიდვები | - | - | 1,942,687 |
| გამოცხადებული დივიდენდები | 1,526,316 | - | - |
| გადახდილი დივიდენდები | 1,526,316 | - | - |
| სახელფასო ხარჯები | - | 186,650 | - |
| გადახდილი ხელფასები | - | 186,650 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | - | - | 127,642 |

| | მესაკუთრეები | მთავარი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| **2020** | | | |
| შესყიდვები | - | - | 1,452,279 |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | - | - |
| გადახდილი დივიდენდები | - | - | - |
| სახელფასო ხარჯები | - | 165,138 | - |
| გადახდილი ხელფასები | - | 165,138 | - |
| | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | - | - | 136,204 |

**18. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები**

*გადასახადები*

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

*საოპერაციო გარემო*

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

**19. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა**

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო

და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

*საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 9,981,701 | 6,401,773 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,359,465 | 2,489,512 |
| | **11,341,166** | **8,891,285** |

*ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

| | 2021 | | | |
|---|---|---|---|---|
| | **1 თვემდე** | **1 -12 თვემდე** | **12 თვეზე მეტი** | **სულ** |
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | - | 6,287,344 | - | 6,287,344 |
| | **-** | **6,287,344** | **-** | **6,287,344** |

| | 2020 | | | |
|---|---|---|---|---|
| | **1 თვემდე** | **1 -12 თვემდე** | **12 თვეზე მეტი** | **სულ** |
| | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | - | 10,773,274 | - | 10,773,274 |
| | **-** | **10,773,274** | **-** | **10,773,274** |

*<u>საბაზრო რისკი</u>*

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

| | **აშშ დოლარი USD** | **ევრო EUR** | **ლარი GEL** | **სულ Total** |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2021** | | | | |
| *ფინანსური აქტივები:* | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 373,145 | - | 9,608,556 | 9,981,701 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 595,951 | - | 763,514 | 1,359,465 |
| | **969,096** | **-** | **10,372,070** | **11,341,166** |
| *ფინანსური ვალდებულებები:* | | | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 5,676,866 | 408,706 | 201,772 | 6,287,344 |
| | **5,676,866** | **408,706** | **201,772** | **6,287,344** |
| წმინდა სავალუტო პოზიცია | **(4,707,770)** | **(408,706)** | **10,170,298** | **5,053,822** |

| | **აშშ დოლარი USD** | **ევრო EUR** | **ლარი GEL** | **სულ Total** |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2020** | | | | |
| *ფინანსური აქტივები:* | ლარი | ლარი | ლარი | ლარი |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 504,565 | - | 5,897,208 | 6,401,773 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 169,576 | - | 2,319,936 | 2,489,512 |
| | **674,141** | **-** | **8,217,144** | **8,891,285** |
| *ფინანსური ვალდებულებები:* | | | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 10,468,153 | 101,677 | 203,444 | - |
| | **10,468,153** | **101,677** | **203,444** | **-** |
| წმინდა სავალუტო პოზიცია | **(9,794,012)** | **(101,677)** | **8,013,700** | **8,891,285** |

## 20. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

**21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 120,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიიდან განაწილდა დივიდენდები 1,858,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ გასცა სესხი 272,500 ლარის ოდენობით;
- კომპანიის წილის 30%-ის მფლობელი გახდა ლევან ჭიორელი, როგორც ეს აღწერილია 1-ელ შენიშვნაში.
- კომპანიამ გაყიდა მეკავშირე საწარმოში (შენიშვნა 12) ფლობილი წილი.
- კომპანიამ არარეზიდენტი მომწოდებლის მიმართ ვალდებულების დაფარვის მიზნით, განახორციელა 120,000 ლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტის გადარიცხვა, რომელიც კიბერ თაღლითობის შედეგად არ აისახა ადრესატის საბანკო ანგარიშებზე. ამჟამად კომპანია ცდილობს აღნიშნული თანხების სამართლებრივი წესებით დაბრუნებას.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის სრულმასშტაბიანი ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და შესაბამისად ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ეკონომიკაში. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

**22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს.

*დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი* _____

**21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 120,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიიდან განაწილდა დივიდენდები 1,858,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ გასცა სესხი 272,500 ლარის ოდენობით;
- კომპანიის წილის 30%-ის მფლობელი გახდა ლევან ჭიორელი, როგორც ეს აღწერილია 1-ელ შენიშვნაში.
- კომპანიამ გაყიდა მეკავშირე საწარმოში (შენიშვნა 12) ფლობილი წილი.
- კომპანიამ არარეზიდენტი მომწოდებლის მიმართ ვალდებულების დაფარვის მიზნით, განახორციელა 120,000 ლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტის გადარიცხვა, რომელიც კიბერ თაღლითობის შედეგად არ აისახა ადრესატის საბანკო ანგარიშებზე. ამჟამად კომპანია ცდილობს აღნიშნული თანხების სამართლებრივი წესებით დაბრუნებას.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის სრულმასშტაბიანი ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და შესაბამისად ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ეკონომიკაში. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

**22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს.

*დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი* _____



# შპს კასკო 2015

## 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 26 სექტემბერი

## შინაარსი


ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ ..... 3

კომპანიის საქმიანობა, შედეგები და პოზიცია ..... 3

*ძირითადი საქმიანობის აღწერა ..... 3*

*ბიზნეს მოდელი და გეოგრაფიული არეალი ..... 4*

*ხორცის მომხარება საქართველოში, მამოძრავებელი ფაქტორები და პერსპექტივა ..... 5*

*საქართველოს ხორცის ბაზრის სტრუქტურა, კომპანიის პოზიცია ბაზარზე ..... 6*

*კვლევა-განვითარება ..... 7*

*კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები ..... 7*

*Covid 19-ითა და უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე საომარი მოქმდებებით გამოწვეული მოვლენების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, თანამშრომლებსა და მომხმარებლებზე ..... 11*

*განვითარების გეგმები ..... 13*

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები ..... 14

*საკრედიტო რისკი ..... 14*

*ლიკვიდურობის რისკი ..... 14*

*საბაზრო რისკი ..... 15*

*ფასების ცვლილების რისკი მსოფლიო ბაზარზე ..... 15*

*სავალუტო რისკი ..... 15*

## ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს კასკო 2015 (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2015 წლის მარტში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 400141627 საიდენტიფიკაციო კოდით. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: 0189, გაგრის ქუჩა 2, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქ. თბილისი, საქართველო.

2022 წლის 15 მარტიდან კომპანიის დამფუძნებლები არიან 70% წილის მფლობელი ბნ. ლევან კაჭარავა (პ/ნ 16001001270) და 30% წილის მფლობელი ბნ. ლევან ჭიორელი. კომპანიის დირექტორია ბნ. მამუკა მინდიაშვილი (პ/ნ 01002011016).

2021 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა შპს გამას (ს/კ 204425906) 35%-იან წილს, ხოლო 2022 წლის 7 მარტს მოხდა დარჩენილი წილის რეალიზაციაც.

## კომპანიის საქმიანობა, შედეგები და პოზიცია

### *ძირითადი საქმიანობის აღწერა*

კომპანიის ძირითადი საქმიანობა გაყინული ხორცპროდუქტებით ვაჭრობაა. ასორტიმენტში ძირითადად იმპორტირებული პროდუქციაა. პროდუქციის შესყიდვა შემდეგი ქვეყნებიდან ხორციელდება: უკრაინა, ბრაზილია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა.

კომპანიის სასაქონლო ასორტიმენტი შემდეგია: გაყინული ქათმის ბარკალი, გაყინული ქათამი, გაყინული ღორის ხორცი, გაყინული საქონლის ხორცი, გაყინული თევზი და კარაქი. გაყიდვების გაშლა მთლიან გაყიდვებში პროცენტული წილის მიხედვით 2020 და 2021 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

**გრაფიკი 1 – კომპანიის გაყიდვების გაშლა საქონლის ტიპის მიხედვით - 2020 წელი**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია*

**გრაფიკი 1 – კომპანიის გაყიდვების გაშლა საქონლის ტიპის მიხედვით - 2021 წელი**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია*

კომპანიაში ასევე ფუნქციონირებს ნახევარფაბრიკატების საწარმო, რომელიც ძირითადად იმპორტირებულ პროდუქციას აფასოებს. 2017 წლის მაისიდან კომპანია ფლობს სამარკო ნიშანს - „სანდო“. სანდოს ნიშნის ქვეშ რეალიზებული პროდუქტის ნაწილი კომპანიის დაკვეთით მზადდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ნაწილი კი კომპანიის ნახევარფაბრიკატების საწარმოში მზადდება. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის და სანდოს სამარკო ნიშნით წარმოებული პროდუქციის წილობრივი მონაცემები მთლიან გაყიდვებში 2020 და 2021 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

**გრაფიკი 2 – კომპანიის გაყიდვების გაშლა წარმოების ტიპის მიხედვით - 2020 წელი**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია*

**გრაფიკი 3 – კომპანიის გაყიდვების გაშლა წარმოების ტიპის მიხედვით - 2020 წელი**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია*

## *ბიზნეს მოდელი და გეოგრაფიული არეალი*

2021 წელს პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად კომპანიის სადისტრიბუციო ქსელით ხდებოდა. სადისტრიბუციო ქსელი 3 ლოჯისტიკური ცენტრიდან იმართებოდა თბილისში, ფოთში და თელავში.

ლოჯისტიკურ ცენტრებში განთავსებულია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინდუსტრიული მაცივარი, სადაც საწყობდება კომპანიის სასაქონლო მარაგები. ამ ცენტრებიდან კომპანია საკუთარი სპეციალიზებული სატვირთო ავტომობილებით ამარაგებს 6 ათასამდე სავაჭრო ობიექტს და ათეულობით კვების დაწესებულებას და საწარმოს მთელი საქართველოს მასშტაბით.

რეგიონებს რომელსაც კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი ამ ეტაპზე ვერ ფარავს, კომპანია პროდუქციას აწვდის საბითუმო გაყიდვებით.

კომპანიას პროდუქცია ექსპორტზე/რე-ექსპორტზეც გააქვს. საექსპორტო ბაზარი მოიცავს სომხეთს, ყაზახეთს, თურქმენეთს და სხვა ქვეყნებს. რეექსპორტის წილი კომპანიის მთლიან გაყიდვებში 10.3% და 18.07% იყო 2020 წლის და 2021 წლის განმავლობაში შესაბამისად.

## *ხორცის მომხარება საქართველოში, მამოძრავებელი ფაქტორები და პერსპექტივა*

2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ხორცის საშუალო წლიური მოხმარება 1 სულ მოსახლეზე საქართველოში საშუალოდ წლიურად 4.7%-ით (CAGR) იზრდებოდა და 2021 წლის ბოლოსთვის 38.0 კილოგრამი შეადგინა *(წყარო: ჯგუფის კალკულაცია საქსტატი-ს და UN COMTRADE სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით)*, ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის და დასავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებლებს. 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით ხორცის საშუალო წლიური მოხმარება 1 სულ მოსახლეზე მსოფლიოში - 42.6 კილოგრამს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 72.0 კილოგრამს და 82.9 კილოგრამს შეადგენდა შესაბამისად *(წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - FAO).*

ხორცის მოხმარების ძირითადი მამოძრავებელი მოსახლეობის შემოსავლებია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართული ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა, მათ შორის შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები 2015-დან 2021 წლის ჩათვლით 2.4%-ით (CAGR) არის გაზრდილი და 2021 წელს შეადგინა 1,221.8 ლარი შეადგინა *(წყარო: საქსტატი).* იგივე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცის ფასები. გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია პროდუქციის ტიპის მიხედვით გაშლილი საქართველოს ხორცის ფასების ინდექსი 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით.

**გრაფიკი 4 – სამომხმარებლო ფასების ინდექსი (01.2015 = 100), გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია საქსტატი-ს მონაცემებზე დაყრდნობით*

მიუხედავად  იმისა, რომ 2020 წელს როგორც შინამეურნეობების საშუალო თვიურ შემოსავლებში და შესაბამისად მოხმარების მაჩვენებლებში შეინიშნებოდა შემცირება, რაც გამოწვეული იყო კოვიდ პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისით, 2021 წელს მაჩვენებლები გაუმჯობესდა და გადაასწრო პანდემიამდელ მაჩვენებლებს. კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა გაგრძელდება და საშუალო ვადიან პერსპექტივაში გადაითარგმნება შინამეურნეობების შემოსავლების ზრდაში, მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდება და ხორცის მოხმარება წლიურად 5%-ით გაიზრდება.

გრძელვადიან პერსპექტივაში ხორცის საშუალო წლიური მოხმარება მიუახლოვდება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელს, რაც საშუალოდ 1 სულ მოსახლეზე წლიურად 72 კილოგრამია.

## *საქართველოს ხორცის ბაზრის სტრუქტურა, კომპანიის პოზიცია ბაზარზე*

ხორცპროდუქტების ადგილობრივი წარმოება მცირეა. ქართული ფერმერული ინდუსტრია მეტნაკლებად ახერხებს ბაზარს მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონლის და ღორის ხორცი მიაწოდოს, ქათმის ხორცის შემთხვევაში კი ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ბაზარს, შესაბამისად ჩნდება მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელზე.

ქართულ ბაზარზე მიწოდებული პროდუქციის გაშლა წარმომავლობის მიხედვით 2018 - 2021 წლისთვის მოცემულია ქვემოთ.

**გრაფიკი 5 – ხორცის წარმომავლობა საქართველოს ბაზარზე, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია UN COMTRADE-ის და საქსტატი-ს მონაცემებზე დაყრდნობით*

კომპანია ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს საბაზრო დეფიციტის შევსება იმპორტირებული პროდუქციით და გაზარდოს საკუთარი წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე. კომპანია აკონტროლებდა იმპორტირებული ხორცის ბაზრის 12.3%-ს და 14.2%-ს, ხოლო მთლიანი ხორცის ბაზრის 7%-ს და 7.8%-ს, 2020 და 2021 წლის ბოლოსთვის შესაბამისად.

პროდუქციის ტიპის მიხედვით გაშლილი კომპანიის საბაზრო წილები 2020 და 2021 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

**გრაფიკი 6 – კომპანიის საბაზრო წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე მთლიანად (იმპორტი და ადგილობრივი წარმოება) 2020 და 2021 წლებისთვის, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით**




**გრაფიკი 7 – კომპანიის საბაზრო წილი საქართველოს იმპორტირებული ხორცის ბაზარზე 2020 და 2021 წლებისთვის, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია UN COMTRADE-ის და საქსტატი-ს მონაცემებზე დაყრდნობით*

## *კვლევა-განვითარება*

კომპანია მუდმივ რეჟიმში იკვლევს ბაზარზე არსებულ ტენდენციებსა და მოთხოვნებს. საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე ხდება ახალი პროდუქტების სპეციფიკაციების შემუშავება და შეთავაზება ბაზრისთვის. აღნიშნული ეხება კომპანიის ნახევარფაბრიკატების საწარმოში ადგილობრივი ბაზრისთვის დამზადებული პროდუქციას. სხვა კვლევა-განვითარების სამუშაოებს კომპანია არ აწარმოებს.

## *კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები*

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს კომპანიის მომგებიანობის, ლიკვიდურობის და სხვა მაჩვენებლებს, რათა უზრუნველყოს მოგების მაქსიმიზაცია და კომპანიის რესურსების ოპტიმალური გამოყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

2021 წელი კომპანიამ 8’383’742 ლარის ოდენობის წმინდა მოგებით დაასრულა, რაც წინა, 2020 წლის წმინდა მოგებასთან შედარებით 410%-ით გაზრდილი მონაცემია.

2021 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 98 ადამიანი (თანამშრომელთა საშუალო თვიური რაოდენობა წლის განმავლობაში) რაც თითქმის არ განსხვავდება წინა, 2020 წლის დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობასთან შედარებით (99 ადამიანი).

ცხრილებში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები მენეჯმენტის კომენტარებით, რომლებიც მენეჯმენტის აზრით სრულად აღწერს 2021 წლის განმავლობაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს და კომპანიის მიერ მიღებულ შედეგებს. აღნიშნული შედეგები დიდწილად გამოწვეულია კოვიდ პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვებით შემსუბუქებითა და შემდგომ უკვე გაუქმებით, რის აღდგა მოთხოვნა ჰორეკა სექტორიდან, გაიზარდა მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაც, შედეგად 2021 წლის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

## მომგებიანობის მაჩვენებლები

| ცხრილი 1 | 2021 | 2020 | ცვლილება % | მენეჯმენტის კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| ამონაგები ადგილობრივი გაყიდვებიდან | 70,152,788 | 50,565,811 | 39.8% | 2021 წელს თითქმის 40%-ით გაიზარდა ადგილობრივ ბაზარზე კომპანიის გაყიდვები და მოგების მარჟა. რაც ერთის მხრივ გამოწვეული იყო გამოწვეული იყო კოვიდა პანდემიის დასრულების შემდეგ შეზღუდვების მოხსნითა, ჰორეკა სექტორის გააქტიურებითა და ასევე მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობის გაუმჯობესებით. |
| ადგილობრივად გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | (57,690,796) | (43,932,605) | 31.3% | |
| **საერთო მარჟა ადგილობრივი გაყიდვებიდან** | **18.4%** | **13.1%** | **40%** | |
| ამონაგები რეექსპორტზე გაყიდვებიდან | 11,900,222 | 5,072,438 | -134,6% | 2021 წელს თითქმის გაორმაგდა რეექსპორტის ოდენობა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, თუმცა მოგების საერთო მარჟის დონე შენარჩუნდა. |
| რეექსპორტზე გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | (11,284,904) | (4,788,722)) | -135.7% | |
| **საერთო მარჟა რეექსპორტზე გაყიდვებიდან** | **5.2%** | **5.6%** | **-7.6%** | |
| პერსონალის ხარჯების თანაფარდობა ადგილობრივ რეალიზაციასთან | 2.9% | 3.5% | -17.4% | |
| საერთო ხარჯების თანაფარდობა ადგილობრივ რეალიზაციასთან | 2.3% | 3.2% | -28.5% | |
| EBITDA (წმინდა მოგება ფინანსურ ხარჯებამდე და ფინანსურ შემოსავლებამდე, გადასახადებამდე და ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებამდე) | 3,388,846 | 1,645,283 | 409.9% | |
| **EBITDA-ს მარჟა** | **10.2%** | **3.0%** | **243.6%** | |
| **წმინდა მოგების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან** | **27.3%** | **6.4%** | **329.6%** | |

## ეფექტურობის მაჩვენებლები

| ცხრილი 2 | 2021 | 2020 | ცვლილება % | მენეჯმენტის კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| აქტივების ბრუნვა (ამონაგების თანაფარდობა მთლიანი აქტივებთან) | 2.7 | 2.2 | 24.1% | მთლიანი აქტივების ბრუნვა წინა წელთან შედარებით გაზრდილია. ხორცის მოხმარების ზრდის პირობებში გაზრდილია სასაქონლო მარაგების ბრუნვის მაჩვენებელი და შემცირებულია კლიენტებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების ვადები. ცვლილებები ნორმის ფარგლებშია და არ არღვევს კონტრაქტუალური გადახდის პირობებს. |
| სასაქონლო მარაგების ბრუნვა (ამონაგების თვითღირებულების თანაფარდობა საშუალო სასაქონლო მარაგებთან) | 5.7 | 5.5 | 3.2% | |
| სავაჭრო დებიტორების ბრუნვა (ამონაგების თანაფარდობა საშუალო სავაჭრო დებიტორებთან) | 8.1 | 7.0 | 15.7% | |
| სავაჭრო დებიტორების დღეები | 32.6 | 52.1 | -37.5% | |
| სასაქონლო მარაგების დღეები | 62.1 | 65.8 | -5.7% | |
| სავაჭრო კრედიტორების დღეები | 45.1 | 92.9 | 51.4% | |
| **ფულად გარდაქმნის ციკლი** | **45.9** | **25.0** | **97.9%** | |

## ლიკვიდურობის მაჩვენებლები

| ცხრილი 3 | 2021 | 2020 | ცვლილება % | მენეჯმენტის კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| მოკლევადიანი აქტივების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან | 3.6 | 1.6 | 119.8% | მაჩვენებელი არსებითად გაუმჯობესებულია |
| სწრაფი თანაფარდობა (მოკლევადიანი აქტივების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან სასაქონლო მარაგების გარეშე) | 1.6 | 0.8 | 108.4% | |

## კაპიტალის და ფინანსური კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები

| ცხრილი 4 | 2021 | 2020 | ცვლილება % | მენეჯმენტის კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| მთლიანი ვალდებულებების თანაფარდობა საუთარ კაპიტალთან | 0.3 | 0.7 | -59.3% | 2021 წლის ბოლოს კომპანიას სასესხო ვალდებულებები არ ჰქონდა. ასევე შემცირებულია ჯამური ვალდებულებების მაჩვენებელი. კაპიტალი შეივსო 2021 წლის წმინდა მოგებით. საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1’878’630 ლარით. წლის განმავლობაში მოხდა 1’526’316 ლარის დივიდენდის განაწილება. |
| სასესხო ვალდებულებების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან | - | - | - | |
| EBITDA-ს თანაფარდობა საპროცენტო ხარჯებთან | - | - | - | |

## *Covid-19 - ითა და უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე სამარი მოქმდებებით გამოწვეული მოვლენების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, თანამშრომლებსა და მომხმარებლებზე*

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ Covid-19-ის მსოფლიო პანდემიად გამოცხადებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიზნესის საქმიანობაზე, გამოიწვია ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდა, გაიზარდა ფასები აქტივებზე და სავალუტო კურსის მერყეობამ გაზარდა სავალუტო რისკები. დაწესებულმა შეზღუდვებმა და ზოგიერთი მიმართულების კერძო ბიზნესის საქმიანობის შეჩერებამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა კომპანიის პროდუქციის მოთხოვნასა და რეალიზაციაზე.

ვინაიდან სარეალიზაციო ქსელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, 2020 წელს ამ მიმართულებით დაწესებულმა შეზღუდვებმა და ტურისტული ნაკადების შემცირებამ გამოიწვია ამ სეგმენტიდან მიღებული შემოსავლების კლება, რამაც საბოლოოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის წლიურ ამონაგებზე. თუმცა 2021 წელს შეზღუდვების შემსუბუქების პარალელურად, სწრაფი ტემპით მოხდა ჰორეკა სექტორში კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის აღდგენა თავდაპირველ ნიშნულამდე, გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა საცალო სავაჭრო ქსელებშიც, შედეგად 2021 წელს კომპანიის წლიური ამონაგები და წმინდა მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

პანდემიის გამოცხადებასთან ერთად ადმინისტრაციამ თავიდანვე გაითვალისწინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მთავრობის რეკომენდაციები თანამშრომელთან უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ოფისი და სადისტრიბუციო მანქანები აღიჭურვა შესაბამისი ეკიპირებით და საშუალებებით. კომპანიის თანამშრომელთა ნაწილი, რომლის მუშაობის სპეციფიკა იძლეოდა დისტანციურად მუშაობის საშულებას, გადავიდა ონლაინ სამუშაო რეჟიმზე, თუმცა სტაფის ძირითადმა ნაწილმა გააგრძელა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში. პანდემიის პერიოდში კომპანიამ სრულად შეინარჩუნა სტაფი და არც ერთი თანამშრომელი არ გაუთავსუფლებია, ხოლო შეზღუდვების შემსუბუქებისა და ბოლოს გაუქმების პარალელურად 2021 წლის განმავლობაში სრულად აღდგა ჩვეული სამუშაო რეჟიმი.

პანდემიის შედეგად დაწესებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია უცხოელი მომწოდებლების მხრიდან საქონლის მოწოდების პროცესში და ამ მიმართულებით კომპანიას შეფერხებები არ ქონია.

2022 წლის დასაწყისში უკრაინასა და რუსეთს შორის სამარი მოქმედებების დაწყებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და საკვები პროდუქტების ბაზარზე. აღნიშნული გარემოებები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს კასკო 2015-ის საქმიანობაზეც. უკრაინას, რომელიც ხორც-პროდუქტების

ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიოში, მნიშვნელოვანი წილი უკავია კასკოს მომწოდებლებშიც. უკრაინული პროდუქციის წილი კომპანიის გაყიდვებში შეადგენს საშუალოდ 9%-ს, მინიმალური წილი უკავია ბელორუსიას, რომელიც ომის შედეგად საერთაშორისო სანქციების ქვეშ აღმოჩნდა. ამ ეტაპზე მართალია უკრაინული საქონლის მოწოდება არ შეფერხებულა, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები, როგორც უკრაინულ, ასევე სხვა ქვეყნების პროდუქციაზე. ამასთან გაზრდილია ტრანსპორტირების ხარჯები, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ ლოჯისტიკურ პრობლემებთან უკრაინიდან საქონლის მოწოდებაზე, ხოლო მეორეს მხრივ საწვავის ფასების ზრდისგან დაწესებული სანქციების პირობებში. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მომწოდებლების ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც საშუალებას იძლევა, რომ მოწოდების ჯაჭვი იყოს უწყვეტი და მოწოდების პოტენციური პრობლემები დროულად და ეფექტურად აღმოიფხვრას.

მსოფლიო ბაზარზე წარმოქმნილი გაურკვევლობები მნიშვნელოვანი რყევებს იწვევს სავალუტო კურსებზე. კომპანიის ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, ვინაიდან არის იმპორტიორი და ძირითადი პროდუქციის შესყიდვა ხდება უცხოელი მომწოდებლისგან საკურსო ცვლილებები პირდაპირ ახდენს გავლენას შესყიდული საქონლის თვითღირებულებაზე. ხოლო რეალიზაციის უმეტესი ნაწილი უკავია ადგილობრივ ბაზარს, სადაც შემოსავლები დენომინირებულია ადგილობრივ ვალუტაში. ვინაიდან საქონელზე ფასის განსაზღვრისას, კომპანია დამოკიდებულია საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასებზე, კურსის ცვლილებით გამოწვეული დანახარჯების ასახვა მხოლოდ ნაწილობრივ ხდება სარეალიზაციო ღირებულებაში. ამასთან ფასების ზრდამ ქართულ ვალუტაში შესაძლოა გამოიწვიოს საპირისპირო შედეგი, კერძოდ მომხარებლების რაოდენობის შემცირება. ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის გაუფასურებამ კი შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის წმინდა მოგების შემცირება. ბოლო პერიოდში ლარის კურსის გამყარება დოლართან და ევროსთან მიმართებაში პოზიტიურად აისახება კომპანიის პროდუქციის თვითღირებულებაზე და საშუალებას გვაძლევს მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდის დაბალანსებისა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული განუსაზღვრელობები პანდემიის მართვის ღონისძიებებისა და რეგიონში საომარი მოქმედებების გაგრძელების შედეგად წარმოქმნილი შეფერხებების შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ სფერო რომელშიც კომპანია ოპერირებს, არ არის ძლიერ სენსიტიური არსებული ან მოსალოდნელი შეზღუდვების მიმართ, არსებული გარემოებები გავლენას ახდენს, მაგრამ მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს მის ფინანსურ შედეგებს. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინები პოზიტიურია და თვლის, რომ კომპანია მოქმედება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით რისკის ქვეშ არ დგას. საკვები პროდუქტების მიწოდება, რაც არის კასკო 2015-ის საქმიანობის სფერო, არის მზარდი და მოთხოვნადი სეგმენტი ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების და შეზღუდვებისა და სანქციების გაგრძელების შემთხვევაშიც. შესაბამისად, კომპანია

განაგრძობს ფუნქციონირებას და მის საქმიანობას მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ემუქრება.

## *განვითარების გეგმები*

კომპანიის მიზანია შესთავაზოს ქართველ მომხმარებელს და გადამამუშავებელ ინდუსტრიას მაღალი ხარისხის ხორცი და ხორცპროდუქტები სამართლიან ფასად.

მენეჯმენტი ორიენტირებულია გააუმჯობესოს კომპანიის რესურსების მართვის და ოპერაციების ეფექტურობა, და გაზარდოს ბაზრის წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე.

საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, 2019 წელს კომპანიამ დასავლეთ საქართველოს ოპერაციების დიდი ნაწილი ქალაქ ფოთში იჯარით აღებული მეურნეობის ნაცვლად ამავე ქალაქში განთავსებულ საკუთარ სამაცივრე მეურნეობაში გადაიტანა.

2020 წელს მოეწყო კომპანიის ახალი სამაცივრე მეურნეობა ქალაქ თელავში, რომელიც მთლიანი რეგიონის მომარაგებას უზრუნველყოფს. 2021 წელს კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი ხაშურში, სადაც ასევე იგეგმება ახალი სამაცივრე მეურნეობის მშენებლობა. ობიექტი ქვემო ქართლისა და სამცხის რეგიონს მოემსახურება.

# ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

## *საკრედიტო რისკი*

2021 წელს შპს კასკო 2015-ის (შემდგომში კომპანია) გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილს კრედიტზე გაყიდვები შეადგენდა. თუ კომპანიის კლიენტები დადგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ შეასრულებენ ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს, კომპანიას შეექმნება სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას. ეს წარმოშობს საკრედიტო რისკს, რომლის შედეგადაც კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემის წინაშე და ვერ შეძლოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

საკრედიტო რისკს კომპანია ძირითადად პრევენციული კონტროლის პროცედურებით მართავს. მსხვილ საბითუმო კლიენტებთან დავალიანების ნაშთი ინდივიდუალურად, ყოველი შესყიდვისას განიხილება, ხოლო შედარებით მცირე კლიენტებს კომპანია სტანდარტულ გადახდის პერიოდს სთავაზობს, რაც გულისხმობს ბოლო 1 თვის განმავლობაში დაგროვილი დავალიანების ნაშთის სრულად დაფარვას ყოველი თვის 10 რიცხვში.

განგრძობით რეჟიმში ხდება დავალიანების თანხის შედარება კლიენტებთან შედარების აქტების საშუალებით. ასევე განგრძობით რეჟიმში მიმდინარეობს კომპანიის დებიტორული დავალიანების კონტროლი, ხდება ვადაგადაცილებული ინვოისების იდენტიფიცირება და მუშაობა პრობლემურ კლიენტებთან ვალდებულებების გასასტუმრებლად.

## *ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე.

კომპანია განგრძობით რეჟიმში აკონტროლებს საკუთარი ფულადი სახსრების ნაშთს და ლიკვიდურობის მაჩვენებლებს და ცდილობს მომწოდებლებთან და სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებისთვის საკმარისი თანხა შეინარჩუნოს. საბრუნავი კაპიტალის ფინანსირების ძირითადი წყარო გაყიდვებიდან მიღებული თანხებია (კონტროლის პროცედურები და სავაჭრო დებიტორების ხარისხის ანალიზი აღწერილია *საკრედიტო რისკი*-ს სექციაში). გარე წყაროებით დასაფინანსებლად კომპანია საბანკო საკრედიტო ხაზს იყენებს, რომლის ლიმიტი და სხვა მნიშვნელოვანი პირობები ყოველწლიურად ახლდება კომპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე.

კომპანიის ლიკვიდურობის და ფინანსური კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები 2021 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულია.

## *საბაზრო რისკი*

საბაზრო ფაქტორების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერირებაზე. ძირითადი საბაზრო ფაქტორები მენეჯმენტის შეფასებით არის: ხორცის ფასები მსოფლიო ბაზარზე; და ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.

### *ფასების ცვლილების რისკი მსოფლიო ბაზარზე*

2021 წლის განმავლობაში ფასებზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა. რყევების ძირითადი გამომწვევი მიზეზი ჩინეთსა და აშშ-ს შორის დაძაბული სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა და პანდემია იყო.

ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია საბაზრო ფასების ცვლილების რისკის დაზღვევის ინსტრუმენტებთან წვდომა და შესყიდვები მიმდინარე საბაზრო ფასად ხორციელდება, თუმცა კომპანია ცდილობს მარაგები დააგროვოს მაშინ, როცა საბაზრო ფასები შედარებით დაბალია და გასაყიდი ფასები წლის განმავლობაში სტაბილურ ნიშნულზე შეინარჩუნოს.

გრაფიკზე ქვემოთ ჩანს, თუ როგორ იცვლებოდა ხორცის ფასები ძირითად სახეობებზე 2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით.

**გრაფიკი 8 – ხორცის მსოფლიო ფასების ინდექსები ( 01.01.2018 = 100 )**




*წყარო: კომპანიის კალკულაცია Bloomberg-ის და IMF-ის მონაცემებზე დაყრდნობით*

### *სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. აღნიშნული რისკი კომპანიის ოპერაციებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგან

კომპანიის შემოსავლები ქართულ ლარშია დენომინირებული, ხოლო შესყიდვები უცხოური ვალუტით - აშშ დოლარით და ევროთი ხორციელდება.

ამ ეტაპზე კომპანია აქტიურად არ იყენებს საბაზრო გაცვლითი კურსის ცვლილების რისკის დაზღვევის ინსტრუმენტებს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ 418'694.00 ლარის მოგება მიიღო წლის განმავლობაში განხორციელებული სავალუტო ოპერაციებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავალუტო გადაფასებიდან.

გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია ქართული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დინამიკა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში 2021 წლის იანვრიდან წინამდებარე ანგარიშგების მომზადების თარიღამდე.

**გრაფიკი 9 – ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, 2021 და 2022 წელი**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

შპს კასკო 2015

დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი

კომპანიის შემოსავლები ქართულ ლარშია დენომინირებული, ხოლო შესყიდვები უცხოური ვალუტით - აშშ დოლარით და ევროთი ხორციელდება.

ამ ეტაპზე კომპანია აქტიურად არ იყენებს საბაზრო გაცვლითი კურსის ცვლილების რისკის დაზღვევის ინსტრუმენტებს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ 418'694.00 ლარის მოგება მიიღო წლის განმავლობაში განხორციელებული სავალუტო ოპერაციებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავალუტო გადაფასებიდან.

გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია ქართული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დინამიკა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში 2021 წლის იანვრიდან წინამდებარე ანგარიშგების მომზადების თარიღამდე.

**გრაფიკი 9 – ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, 2021 და 2022 წელი**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

შპს კასკო 2015

დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი